ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N187

გამარტივებული შესყიდვა

საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]“ ქვეპუნქტი

დაფინანსების წყარო 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

ქ. თბილისი _____ 2022 წ.

ერთის მხრივ, **ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე“** (ს/კ 404494980), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი მისი დირექტორის **თინათინ რუხაძის** სახით და მეორეს **მხრივ სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“** (ს/კ 204478948), შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის დავით გიორგობიანის სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. “ხელშეკრულება“ - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია, შემსყიდველის მიერ, ავტომანქანის (HYUNDAI IONIQ-HYBRID, CG810CG) ძრავის ზეთის, ზეთის ფილტრის, ჰაერისა და სალონის ფილტრების, ანტიფრიზისა და ელ. რეგულირების ღილაკების შესყიდვა, თანმდევი ტექნიკური მომსახურებით, დანართი N1-ისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

(CPV09200000, 24900000, 34300000, 42900000)

2.2. ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლი: 2.2. საქონელი და მომსახურება.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. **ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა: 615,00 (ექვსას თხუთმეტი) ლარი.**

3.2. ერთეულის ღირებულება დანართი N1-ის შესაბამისად.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მიწოდებული საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს (მათ შორის დამატებითი ღირებულების გადასახადს).

3.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 4. ხელშეკრულების საგნის მიწოდების ვადები და მიწოდების ადგილი

4.1. საქონლის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 5(ხუთი) დღე.

4.2. საქონლის მიწოდების ადგილი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ.

მუხლი 5. მხარეთა მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა. მიაწოდოს საქონელი შემსყიდველს მე-4 მუხლის 4.1 პუნქტით დადგენილ ვადებში;

ბ. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა. უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის კონტროლი და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

მუხლი 6. ხარისხი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს და დადგენილ სტანდარტებს.

მუხლი 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

7.2. კონტროლს განახორციელებს ა(ა)იპ **„მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის“ შესყიდვების სამსახურის უფროსი და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და ლოჯისტიკის სამსახურის ექსპედიტორი/მძღოლი.** შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 1(ერთი) დღეში გამოასწოროს წუნი ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

7.3. თუ ამ მუხლის 7.3. პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

მუხლი 8. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

8.1. საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, კონტროლის განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე. თუ კი მიწოდების ბოლო ვადა ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება მოხდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8.2. საქონლის მიღებას აწარმოებს: ა(ა)იპ "მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე" მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და ლოჯისტიკის სამსახურის საწყობის გამგე.

მუხლი 9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

მუხლი 10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-12 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-4.1 პუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში ან 7.3. პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

მუხლი 13. დავების გადაწყვეტა

13.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 3 (სამი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

მუხლი 14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 16. ფორს-მაჟორი

16.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

16.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

მუხლი 17. სხვა პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი შემსყიდველს;

17.2. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის (ან მისი ნაწილის) ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას;

17.3. საკითხები, რომლებიც წარმოიშობა წინამდებარე ხელშეკრულების მხარეებს შორის და რომელთა რეგულირებაც არ არის მოცემული ხელშეკრულებაში, გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე;

17.4. ხელშეკრულების მუხლებს თანდართული აქვს სათაურები ხელშეკრულების ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად და ეს სათაურები არ მიიჩნევა ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულების განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმმარტებლად.

მუხლი 18. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

ა(ა)იპ „მოსწავლე - ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე“
მის: ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ. №6
ტელეფონი: 2 93 15 60
ელ. ფოსტა procurement@nationalpalace.ge
ს/კ 404494980
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22

დირექტორი
თინათინ რუხაძე

„მიმწოდებელი“

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“

მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.
ტელ: 2 51 77 99
ელ. ფოსტა: nani@hyundai.ge
ს/კ 204478948

საბანკო რეკვიზიტები:
სს „თიბისი ბანკი“ TBCBGE22
ანგ. GE15TB1100000110467697

პრეზიდენტი
დავით გიორგობიანი

HYUNDAI AVTO GEORGIA JSC

Digitally signed by HYUNDAI AVTO GEORGIA JSC
Date: 2022.11.09 11:35:44 +04'00'

დანართი N1

#	დასახელება	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამი (ლარი)	CPV
1	103 ძრავის ზეთი	4	25.00	100.00	09211100
2	ზეთის ფილტრი	1	20.00	20.00	42913300
3	Anti Blue-green ანტიფრიზი	1	20.00	20.00	24951311
4	ჰაერის ფილტრი	1	55.00	55.00	42913500
5	სალონის ფილტრი	1	50.00	50.00	42913500
6	თანმდევი მომსახურება -ზეთის შეცვლა სტანდარტი	1	20.00	20.00	09211100
7	თანმდევი მომსახურება-სალონის (კონდიციონერის) ფილტრის შეცვლა	1	10.00	10.00	42913500
8	შუშის ელექტრო რეგულირების ღილაკები	1	270.00	270.00	34300000
9	თანმდევი მომსახურება-კარის საფარის (აბივკის) მოხსნა, დაყენება	1	70.00	70.00	34300000
			სულ:	615.00	

„შემსყიდველი“

ა(ა)იპ „მოსწავლე - ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე“
მის: ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ. №6
ტელეფონი: 2 93 15 60
ელ. ფოსტა procurement@nationalpalace.ge
ს/კ 404494980
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22

დირექტორი
თინათინ რუხაძე

„მიმწოდებელი“

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“

მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.
ტელ: 2 51 77 99
ელ. ფოსტა: nani@hyundai.ge
ს/კ 204478948
საბანკო რეკვიზიტები:
სს „თიბისი ბანკი“ TBCBGE22
ანგ. GE15TB1100000110467697

პრეზიდენტი
დავით გიორგობიანი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

_____, 2022 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე“-ის მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ავტომანქანა HYUNDAI (IONIQ-HYIBRID)-ის ძრავის ზეთის, ზეთის ფილტრის, ჰაერისა და სალონის ფილტრების, ანტიფრიზის, თანმდევი ტექნიკური მომსახურებით, შესყიდვასთან დაკავშირებით გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან - სს-თან „ჰიუნდაი ავტო საქართველო“ (ს/კ 204478948), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის გათვალისწინებით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე“
დირექტორი — თინათინ რუხაძე

ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე“
შესყიდვების სამსახურის უფროსი — სალომე ხურცილავა

ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე“
მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და ლოჯისტიკის სამსახურის ექსპედიტორი/მძღოლი — თეიმურაზ სხირტლაძე

ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე“
მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და ლოჯისტიკის სამსახური- საწყობის გამგე — ნატო ობოლაძე

ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე“
შესყიდვების მენეჯერი — ინგა გოგიაშვილი